ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 11923083001**

თარიღი:**24/03/2023**

<u>წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების შესახებ</u>

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 47-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ჩატარდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა 2023 წლის 31 მარტს, ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22-ში, 11:00 სთ-ზე შემდეგი დღის წესრიგით:

ა) დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექურისა და ზედამხედველობის სამსახურისთვის მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების შემდეგ ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ";

ბ) განკარგულების პროექტი „მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

გ) განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის მარტის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი